THE INFLUENCE OF THE PRESS AND PUBLIC DISCOURSE ON THE TRANSFORMATION OF JEWISH DIASPORA IDENTITY IN THE UNITED STATES (1930S-1940S)

პრესისა და საზოგადოებრივი დისკურსის გავლენა ებრაული თემის იდენტობის ტრანსფორმაციაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში (1930-40-იანი წლები)

Mariam Lazarashvili
Ph.d student of American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Visiting Lecturer, Gori State Univeristy,
Chavchavadze st., No53, 1400, Gori, Georgia,
+995 599 37 43 43, mariamlazarashvili90@gmail.com
https://orcid.org/0009-0002-3837-1061

Abstract. The first half of the twentieth century was one of the most tragic and tumultuous periods in world history, significantly changing the lives and identities of millions of people, including Jews. The Jewish diaspora living in the United States, which was still a result of new immigration, encountered the economic crisis of the "Great Depression" in the 1930s and the devastating events of World War II in the 1940s.

During this period, the role of the press and public discourse became especially significant. Media was the channel through which Jewish society's identity was shaped and, at the same time, the broader society's attitude toward the Jewish community was formed.

The article discusses the role of American press and public discourse in the transformation of Jewish identity during and after World War II. Specifically, it explores how American press publications in the 1930s and 1940s, against the backdrop of significant events such as the "Great Depression," the Holocaust, and World War II, addressed Jewish issues. Given that these historical events were pivotal in shaping American Jewish identity, it is important to examine the media narratives that influenced the public and cultural self-perception of American Jews. The study focuses on both general mass publications and specialized Jewish-themed magazines to highlight differing perspectives and their impact on the social, cultural, and political assimilation process of Jews.

Keywords: Jewish Diaspora, World War II, Holocaust, Press, Identity, American Society.

მარიამ ლაზარაშვილი
ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
მოწვეული სპეციალისტი, გორის სახელმწიფო უნივერისტეტი;
საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. 53, 1400
+995 599 37 43 43, mariamlazarashvili90@gmail.com
https://orcid.org/0009-0002-3837-1061

აბსტრაქტი. მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და მღელვარე პერიოდი იყო, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მილიონობით ადამიანის და მათ შორის ებრაელთა ცხოვრება და თვითმყოფადობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ებრაული დიასპორა, რომელიც ჯერ კიდევ ახალი იმიგრაციის შედეგი იყო, 1930-იან წლებში „დიდი დეპრესიის" ეკონომიკურ კრიზისს და 1940-იან წლებში მეორე მსოფლიო ომის გამანადურებელ მოვლენებს შეეჯახა.

ამ პერიოდის პრესისა და საზოგადოებრივი დისკურსის როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. სწორედ მედია იყო ის არხი, რომლის საშუალებითაც ყალიბდებოდა ებრაული საზოგადოების იდენტობა და ამავდროულად საზოგადოების ფართო წრის დამოკიდებულება ებრაული თემის მიმართ.

სტატიაში საუბარია ამერიკული პრესისა და საზოგადოებრივი დისკურსის როლზე ებრაული იდენტობის ტრანსფორმაციის საკითხში მეორე მსოფლიო ომის და შემდგომ ათწლეულში. კონკრეტულად, გამოკვლეულია, თუ როგორ ასახავდა ამერიკული პრესა-პერიოდიკა 1930-40-იან წლებში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენების ფონზე, როგორებიც იყო „დიდი დეპრესია", ჰოლოკოსტი და მეორე მსოფლიო ომი, ებრაელთა საკითხებს. იქიდან გამომდინარე რომ აღნიშნული ისტორიული მოვლენები გარდამტეხი აღმოჩნდა ამერიკული ებრაული იდენტობის ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია იმ მედია-ნარატივების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ამერიკელ ებრაელთა საზოგადოებრივ და კულტურულ თვითაღქმაზე. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია, როგორც ზოგად მასობრივ პუბლიკაციებზე, ასევე, ებრაული თემატიკის სპეციალიზირებულ გამოცემებზე, რათა გამოკვეთილ იქნას განსხვავებული პერსპექტივები და მათი გავლენა ებრაელთა სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ასიმილაციის პროცესზე.

საკვანძო სიტყვები: ებრაული დიასპორა, მეორე მსოფლიო ომი, ჰოლოკოსტი, პრესა, იდენტობა, ამერიკული საზოგადოება.

შესავალი. 1930-იანი წლებში ამერიკის შეერთებული შტატები დიდი დეპრესიის სახელით ცნობილმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ეს იყო პერიოდი, როდესაც მოსახლეობა იბრძოდა როგორც მატერიალური კუთხით გადარჩენისთვის, ასევე, სოციალური სტატუსისა და კულტურული იდენტობის შენარჩუნებისთვის. 1929 წლის საფონდო ბირჟის კრახის შედეგად მილიონობით ამერიკელი დაზარალდა. ფინანსურმა კრიზისმა შეერთებული შტატების ეკონომიკა, პრაქტიკულად, მიწასთან გაასწორა. ამან კი ქვეყანაში ყველაზე მძიმე და ხანგრძლივი დეპრესია გამოიწვია. ქვეყანში არსებული 10 წლიანი დეპრესიის ფონზე ამერიკაში მცხოვრები ებრაული მოსახლეობა, ამერიკული საზოგადოების დანარჩენი წევრების თვალით, ფინანსურად მოწინავე ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნეოდა. რეალურად, ეს ასე არ იყო, რადგან ეკონომიკური წნეხი ადგა ყველა სფეროს, მათ შორის იმ სფეროებს, სადაც ებრაელები იყვნენ დასაქმებულნი. თუმცა, იქიდან

გამომდინარე რომ ებრაელები ხშირად იყვნენ წარმოდგენილნი სამთავრობო, სავაჭრო და საბანკო სფეროში, დანარჩენი საზოგადოების მხრიდან ეკონომიურად მოწინავე ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნეოდა. ამ პერიოდის ამერიკულ პრესაში ებრაელები ხშირად არიან წარმოჩენილნი, როგორც „სოციალური პრობლემების“ ნაწილი, რაც რიგ შემთხვევებში ხელს უწყობდა ანტისემიტური სტერეოტიპების გაღრმავებასაც.

კრიტიკის საგანი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა ნაცისტური რეჟიმის მიერ რეპრესირებული და თვაშესაფრის მაძიებელი ევროპელი ებრაელების მიმართ. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, შტატების პოლიტიკა ამ პერიოდის ამერიკული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი ასპექტის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა: დიდი დეპრესიით გამოწვეული უმუშევრობა, ეროვნული რესტრიქციონიზმი და ანტისემიტიზმი. ზოგიერთი მეცნიერი ღიად გამოკვეთს ამერიკული პრესის ბრალეულობას ებრაელთა საკითხზე დუმილის გამო. პრესა იყო ერთ-ერთი მთავარი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა ფართო საზოგადოებისთვის ებრაელთა განადგურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მომხდარიყო. დროული და მყარი ცნობების გავრცელებით შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოების აღშფოთების და აშშ-ს მთავრობაზე ზეწოლის მოხდენა კონკრეტული სამაშველო ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.

მეთოდები. სტატიაში გამოყენებულია ისტორიულ-დოკუმენტური მასალა, ოფიციალური საარქივო მასალები (სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტები, კონგრესის ჩანაწერები), ბეჭდური და ციფული მედია მასალები და მონოგრაფიები, ასევე, ცნობილი ისტორიკოსების და მკვლევრების ანალიტიკური ნაშრომები.

შედეგები და მსჯელობა. ჰერბერტ ჰუვერის ახალი რეალობის წინააღმდეგ შებრძოლების დაბალუნარიანობამ, 1932 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ფრანკინ რუზველტს მოუტანა გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ ებრაელები რუზველტის მტკიცე მხარდამჭერები იყვნენ და რესპუბლიკელთა რეაქციონერობის შეჩერების ერთადერთ ლიბერალურ ალტერნატივად სწორე მას მიიჩნევდნენ. როგორც ნიუ-იორკელმა მოსამართლემ ერთხელ აღნიშნა: „ებრაელებს სამი სამყარო აქვთ- ეს სამყარო, შემდეგი სამყარო და რუზველტი.“(Klinger, 2025)

გაპრეზიდენტების პირველსავე თვეებში რუზველტმა წინასააჩევნოდ დაპირებული რეფორმატორული ღონისძიებების გატარება დაიწყო. „ახალი კურსის“ სახელით ცნობილი მისი პოლიტიკა, ძირითადად, ეკონომიკურ რეგულაციებს მოიცავდა. მილიონობით ამერიკელი დარწმუნებული იყო, რომ რუზველტის მიერ დაწყებული პროგრამა უმეტესწილად „ებრაულ კურსს“ წარმოადგენდა. ამის თქმის საშუალებას მათ ის ფაქტი აძლევდა, რომ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც პროგრამით გათვალისწინებულ რეფორმატორულ იდეებს იზიარებდნენ და მონაწილეობას იღებდნენ „ახალი კურსის“ პროგრამის ფორმირებაში, ებრაელი დომინირებდნენ. ებრაელთა დიდი ნაწილი რუზველტის მიზნებისა და ღირებულებების იუდაისტური გზავნილებთან სიახლოვესაც კი უსვამდა ხაზს. რუზველტი გონებაგახსნილ, ენერგიით და ენთუზიაზმით სავსე თანამშრომლებთან ურთიერთობას ანიჭებდა უპირატესობას, რომლებიც ახალ-ახალი რეფორმატორული იდეებით გამოირჩეოდნენ. „ახალი კურსის“ პოლიტიკის მკვლევარი წერს, პრეზიდენტმა რუზველტმა „ებრაული ჭკუა, ზუსტად იქ და ისე გამოიყენა, როგორც უნდა გამოეყენებინა. ის მათ იყენებს არა იმიტომ რომ ებრაელები არიან, არამედ იმიტომ რომ ჭკუის კოლოფები არიან.“ (Dinnerstein, 1983: 462-463)

ფრანკლინ რუზველტი ჯერ კიდევ ნიუ-იორკის მმართველად ყოფნის პერიოდში ჰარმონიულად თანამშრომლობდა ებრაელ სახელმწიფო მოხელეებთან, თეთრ სახლში გადასვლის შემდეგ სამთავრობო პოლიტიკის საკითხებში მრჩევლად ჰარვარდის

სამართლის სკოლის დეკანი, ებრაეული წამოშობის ფელიქს ფრანკფურტერი და ლუის ბრენდისი დანიშნა. სწორედ ლუის ბრენდისის ფილოსოფიურ ხედვებს ეფუძნებოდა 1935 წელს და 1938 წელს გატარებული საკანონმდებლო რეფორმის დიდი ნაწილი. მას მონოპოლური საწარმოების გავლენის შემცირება და მცირე ბიზნესებს შორის კონკურენციის გაზრდის სურვილი ჰქონდა. ბრენდისის გარდა, პრეზიდენტი რუზველტი აქტიურად თანამშრომლობდა ასევე ებრაული წარმოშობის სემ როზენმენთანაც, რომელიც ნიუ-იორკის მმართველად ყოფნის პერიოდში, რუზველტის მთავარ ასისტენტად მუშაობდა. მისი მეგობრები და თანამოაზრენი იყვნენ ბენ კოჰენი და ტომას გარდნერ კორკორანი. ისინი აქტიურად იყვნენ „ახალი კურსის“ პოლიტიკის ფორმირების საკითხში ჩართული, რჩევებს აძლევდნენ, აქეზებდნენ და ლობირებდნენ კონგრესს. სწორედ მათი რჩევით მოაწერა ხელი რუზველტმა კონგრესის მიღებულ კანონს შრომითი ურთიერთობების შესახებ, რომელიც ვაგნერის კანონის სახელით არის ცნობილი. ბენ კოჰენი, რომელსაც „ახალი კურსის“ პერიოდში „იდეების კაცად“ მოიხსენიებდნენ, პოლონეთიდან ლტოლვილი ოჯახის შვილი იყო. მას სტუდენტობისას „ჩიკაგოს სამართლის სკოლის საუკეთესო სტუდენტის“ სახელი ჰქონდა მოპოებული. ჰარვარდის უნივერსიტეტში მუშაობისას იგი დაუახლოვდა ფელიქს ფრანკფურტერს, რომელმაც ჯეიმს მ. ლენდისთან ერთად, ის ვაშინგტონში 1933 წლის უსაფრთხოების აქტისპროექტზე სამუშაოდ მიიწვია. ეს კოჰენის „ახალი კურსის“ პოლიტიკაში ჩართვის დასაწყისად ითვლება. სწორედ აღნიშნულ აქტზე მუშაობის პერიოდში დაუახლოვდა კორკორანს. ამ ორმა სახელმწიფო მოხელემ თავისი ერთგულებით პრეზიდენტის დიდი სიმპათია დაიმსახურა და მისი მეორე ვადით პრეზიდენტობის პერიოდში ფაქტობრივად შეუცვლელ სახელმწიფო მოხელეები გახდენენ. ებრაელები მაღალი რანგის პოზიციებს იკავებდნენ ქვეყნის უსაფრთხოების, სოფლის მეურნეობის, შრომისა და შინაგან საქმეთა დეპარტამენტებშიც. პირველად ამერიკის ისტორიაში, მათ მიეცათ ფედერალური მთავრობის მრავალ განსხვავებულ თანამდებობაზე მუშაობის საშუალება.

იმ ამერიკელებს, რომელთაც არ მოსწონდათ პრეზიდენტი რუზველტი და მისი პოლიტიკა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყოველი მისი არასწორი ქმედება გარშემომყოფი ებაელების მიერ იყო ნაკარნახევი, რომლებიც ებრაული პერსპექტივებიდან გამომდინარე საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნავდნენ. (Diner, 2004: 212) აღნიშნულ ინფორმაციას გაზეთ „კიპლინგერ ვაშინგტონ ნიუსლეთერ“-ში („Kiplinger Washington Newsletter”) გამოქვეყნებული მასალაც ამყარებს, სადაც ხაზგასმულია მთავრობის ადმინისტრაციაში ებრაელთა რაოდენობრივად მაღალ მაჩვენებელსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მათი უსაზღვროდ დიდი გავლენის შესახებ. რუზველტის პოლიტიკის მოწინააღმდეგე ამერიკელები ხშირად ადანაშაულებენ ებრაელ მრჩევლებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კუთხით გადადგმული არასწორი ნაბიჯების გამო. 1934 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკელი ქალბატონის მიერ პრეზიდენტისთვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

„ყველა მხრიდან გვესმის, რომ ქვეყანა ებრაელებს მიჰყიდეთ და რომ არსებულ დეპრესიაში სწორედ ებრაელები არიან დამნაშავენი. მათ მიზნად ქრისტიანების შიმშლი აქვთ დასახული, მორჩილებასა და მონობაში. ამბობენ, რომ ორასზე მეტი ებრაელი გყავთ ვაშინგტონში ადმინისტრაციაში დასაქმებული, რომ ებრაელი ბანკირები მართავენ ქვეყანას და (ბერნარდ) ბრანჩი არის ნამდვილი პრეზიდენტი. ეს გახლავთ საუბარი, რომელსაც ყველგან მოისმენთ.“ (Dinnerstein, 1983: 109)

რაც შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებს, ამერიკელთა დიდი ნაწილი თვლიდა, რომ კურსი, რომელიც რუზველტმა აირჩია, კომუნისტურ ხასიათს ატარებდა. მათ შორის ნაპრალი კიდევ უფრო გაზარდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კუთხით გადადგმულმა კონკრეტულმა ნაბიჯებმა, კერძოდ, რუზველტის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის ფაქტმა, როდესაც 1933 წლის 16 ნოემბერს პრეზიდენტმა ფრანკლინ

რუზველტმა დაასრულა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებსა და საბჭოთა კავშირის ელჩის მაქსიმ ლიტვინოვს შორის თითქმის 16 წლიანი მოლაპარაკებათა სერია და დაიწყო ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. აღნიშნული ფაქტიც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა კომუნიზმის გავრცელების საფრთხეს დაუკავშირა. აღსანიშნავია, რომ ებრაელებს ხშირად კომუნისტურ შპიონაჟში ადანაშაულებდნენ, რის შესახებაც ინფორმაციას ისევ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებიდან ვიგებთ. კათოლიკური ჟურნალის „კათოლიკ ტელეგრაფ რეჯისტერის“ („Catholic Telegraph-register”) 1941 წლის აგვისტოში გამოქვეყნებულ სტატიაში რედაქტორი ღიად ადანშაულებს ებრაელებს კომუნიზმსა და კომუნისტურ შპიონაჟში. ქვეყანაში არსებულ ანტისემიტიზმს კი თავად ებრაელთა არაეთიკური საქმიანობის შედეგად მიიჩნევს: „დღეს ჩვენი ქვეყნის ომის პარტიაში კარგად ორგანიზებული უმცირესობა არსებობს, რომელიც ვოკალური და ტირანიული არის, მიმართული იმ პატრიოტ ამერიკელთა სიწმინდეების შეურაცხელსაყოფად, ვინც მათ პროგრამას ეწინააღმდეგება. ებრაელები არიან კარგად ორგანიზებული უმცირესობათა ჯგუფი. ისინი უზარმაზარ სიმდიდრეს და ძალაუფლებას ფლობენ... ჩანს, ებრაელები ცდილობენ ჩვენი ქვეყნის საომარ ვითარებაში ჩაბმას. ჩვენი ვარაუდით, თუ კი ქვეყანა ომში ჩაერთვება, ებრაელთა მისამართით საზოგადოების წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაიზრდება. ისინი იქნებიან პასუხისმგებელნი ოფიციალურ უწყებებსა და პირებზე ზეგავლენის მოხდენაზე“ (Feingold, 1995: 199)

ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტიებრაული განწყობა გაძლიერდა 1930-იანი წლების ბოლოს, როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბენჯამინ კარდოზო გარდაიცვალა და მის ნაცვლად პრეზიდენტმა რუზველტმა ფელიქს ფრანკფუტერის კანდიდატურა წამოაყენა. მაშინდელი ფინანსთა მინისტრი ჰენრი მორგენთაუ, „ნიუ-იორკ თაიმსის“ გამომცემელი ართურ ჰ. შულცბერგერი და რუზველტთან დაახლოებული სხვა ებრაული წარმომავლობის პირები ურჩევდნენ პრეზიდენტს, თავი შეეკავებინა ფრანკფურტერის აღნიშნულ თანამდებობაზე წარდგენისგან, რადგან მისი სახელი განასახიერებდა ებრაულ რადიკალიზმს „ახალ კურსში.“ შექმნილ გარემოებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა განაცხადა: „განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია- მხოლოდ იმ დევნისა და დისკრიმინაციის გამო, რომელიც მსოფლიოს სხვა ნაწილში სუფევს- ნათელი იყოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები თანამდებობებზე არჩეულნი და შერჩეულნი არიან, მხოლოდ თავისი კვალიფიკაციის, გამოცდილების, პიროვნული მახასიათებლების მიხედვით და არა წარმომავლობის და რელიგიური კუთვნილების გამო.“ (Dinnerstein, 1983: 97)

როდესაც პრეზიდენტი რუზველტი გარდაიცვალა პოლიტიკურმა ანალიტიკოსმა სემ ლუბელმა დაწერა: „ისეთი პოლიტიკურად უსახლკარო არცერთი ეთნიკური ჯგუფი არ ყოფილა, როგორებიც ებრაელები იყვნენ. მას [რუზველტს] ისინი [ებრაელები] როგორც მეგობარს და ჩემპიონს ისე ხედავდნენ, „იდეალისტი“, რომელიც ყველგან და ყოველთვის უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა. ისინი მისთვის დამახასიათებელი უშუალობის, თავმდაბლობისა, ოპტიმიზმის და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლის იმიჯის გამო, ბიბლიურ გმირებს აბრაამს, მოსეს, ისაიასა და ნაჰუმს ადარებდნენ.“ (Dinnerstein, 1994: 476)

ზემოთ განხილული ფაქტების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქვეყანაში არსებული დეპრესიის ფონზე ანტიებრაული განწყობის მატებას პრეზიდენტ რუზველტის სამთავრობო პოლიტიკამაც მისცა ბიძგი. საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ ქვეყანაში არსებული დეპრესია, რუზველტის გვერდში მდგომი ებრაელი სახელმწიფო მოხელეთა არასწორად წარმართული პოლიტიკის შედეგი იყო. არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე კი ქვეყანაში მოქმედ პრესა-პერიოდიკაში ანტიებტაული ხასიათის სტატიები მატულობდა.

მიუხედავად პრეზიდენტ რუზველტის ებრაელების მიმართ კეთილგანწყობისა, ჰოლოკოსტის ცნობილი მოვლენების პერიოდში, ებრაელი ლტოლვილების მიმართ მისი საიმიგრაციო პოლიტიკა საკმაოდ ხისტი აღმოჩნდა. 1930-იანი წლებში ებრაელ ლტოლვილთა მიღების საკითხი ამერიკული საზოგადოების განხილვის და შფოთვის საგანი გახდა. აღნიშნული პრობლემა გერმანული ნაცისტური რეჟიმის მიერ გატარებული სისტემური რასობრივი, პოლიტიკური და რელიგიური დევნით იყო გამოწვეული. ამ პერიოდში იმატა ქვეყანაში შემომსვლელ ებრაელ იმიგრანტთა ჯგუფებმა, რამაც „დიდი დეპრესიის“ პერიოდისთვის დამახასიათებელი უმუშევრობის ფონზე, ბევრი ამერიკელის განწყობაზე უარყოფითად იმოქმედა. საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ ისედაც მცირე სამუშაო ადგილებზე მხოლოდ ამერიკელები უნდა დასაქმებულიყვნენ და ახალი იმიგრანტებისთვის ადგილი აღარ იყო.

ევროპაში მცხოვრებ ებრაელთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული პირველი მნიშვნელოვანი პროტესტი ამერიკის შეერთებულ შტატებში „ამერიკულ-ებრაულმა კომიტეტმა“ გამოხატა. მასთან ერთად კიდევ ორი ებრაული ორგანიზაცია „ამერიკულ-ებრაული კონგრესი“ და „ამერიკული ლიგა ებრაელთა უფლებების დასაცავად“ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოუწოდებნენ სათანადო საგამოძიებო საქმიანება ეწარმოებინათ და გაერკვიათ, თუ რა ხდებოდა რეალურად ებრაელებთან დაკავშირებით გერმანიაში. 1933 წელს „ამერიკულმა ებრაულმა კომიტეტმა“ ამერიკულ პერიოდულ გამოცემებს, როგორებიც არის „ნიუ-იორკ თაიმსი“, „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტი“ და „მანჩესტერ გარდიანი“ (ლონდონი), მიაწოდა სტატიის ტექსტი სახელწოდებით „ებრაელები ნაცისტურ გერმანიაში: ნაციონალ-სოციალისტების მიერ დევნის ფაქტობრივი ჩანაწერი.“ მათი მიზანი აღნიშნული გაზეთების მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება იყო, რათა საზოგადოებისთვის გერმანიაში ებრაელების წინააღმდეგ მიმართული დევნა-შევიწროების შესახებ ეცნობებინათ. თუმცა, მათი მცდელობა არც თუ შედეგიანი აღმოჩნდა და საზოგადოების ყურადღება ნაკლებად მიიქცია. (Schneiderman, The German-Jewish Catastrophe and Its Repercussions: Review of the Jewish Year 5693, 2)

გერმანიაში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ინგლისურენოვანი ებრაული პრესა-პერიოდიკაც ცდილობდა. მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიები მკითხველს გერმანელ ერაელთა მისამართით განხორციელებული ნაცისტური დისკრიმინაციის შესახებ აწვდიდა ინფორმაციას, თუმცა, ნაკლებად პოპულარულობის გამო, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ქვეყანაში მოქმედი ებრაული პრესისგან განსხვავებით, ცნობილი ამერიკული გაზეთები, რომლებიც მკითხველთა სიმრავლის გამო მეტი ტირაჟით ვრცელდებოდა აშშ-ში, ნაკლბად აშუქებდა გერმანიაში მიმდინარე მოვლენებს. მაგალითად, ჯერ კიდევ 1933 წლის მარტით დათრიღებულ ამერიკულ ებრაულ გაზეთებში - „ებრაელი ადვოკატი“ („The Jewish Advocate“) და „ებრაული ნიმუში“ („Jewish Exponent“) ვხვდებით სტატიებს ნაცისტური ანტისემიტიზმის გავრცელების საფრთხის შესახებ, მაშინ როდესაც ისეთი ნობილი გაზეთი, როგორიც „ნიუ-იორკ თაიმისი“ იყო, იქამდე დუმდა მიმდინარე მოვლენებზე, სანამ მსოფლიოში რეალური საომარი ვითარება არ შეიქმნა. „ებრაელი ადვოკატი“ 1933 წლის მარტში გამოქვეყნებული სტატიით - „ვითარება გერმანიაში“, სადაც ის გერმანიაში ებრაელთა მკვლელობების, ანტისემიტური ბროშურების გავრცელებისა და ებრაული სკოლების დახურვის შესახებ იტყობინება, ნაცისტების მიერ ებრაელთა ფიზიკური ძალადობის შესახებ აშშ-ში გავრცელებულ ერთ-ერთ პირველ სტატიას წარმოადგენს. (Merrill, 2012: 26-27). ამერიკელი ებრაელები ებრაული გაზეთების მეშვეობით თავისი ევროპელი ახლობლებისთვის დახმარებას ითხოვდნენ. გაზეთებისა და ბროშურების მეშვეობით ინფორმაციას ავრცელებდნენ და ამერიკელ ებრაელებს ორგანიზებულ შეხვედრებში მონაწილეობისა და ანტინაცისტური კამპანიისკენ უბიძგებდნენ. 1933 წელს გამოქვეყნებული სტატიით „ბოიკოტი გერმანიის საქონელს“, ისინი ამერიკის მთვრობას

გერმანიიდან საქონელის შემოტანის შეზღუდვისკენ მოუწოდებდნენ, მანამდე, სანამ ებრაელთა წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ დისკრიმინაციულ კანონს და ბრძანებულებას არ გააუქმებდნენ. (Merrill, 2012: 28)

ებრაელთა საკითხით ნაკლებად ინტერესდებოდა ამ პერიოდში მოქმედი ამერიკული პროტესტანტული პრესა. პირიქით, პრესაში თითქოს იზრდებოდა ანტიებრაული ხასიათის სტატიების რაოდენობა. „ქრისტიანული საუკუნე“ (“The Christian Century”) ერთ-ერთი ცნობილი პროტესტანტული ყოველკვირეული ჟურნალი იყო, რომელიც დიდხანს ცდილობდა „ებრაული პრობლემის“ გაანალიზებას. 1930-იან წლებში მათ გამოაქვეყნეს ებრაელთა საკითხებისადმი მიძღვნილი ოცზე მეტი სტატია. სტატიების შინაარსში ნაკლებად იგძნობოდა ავტორების მხრიდან თანაგრძნობის განცდა, თუმცა ისინი მსუბუქად მოუწოდებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ებრაელებს საზოგადოებაში მეტად ჩართულობის, ასიმლაციისა და ნამდვილ ამერიკელებად ჩამოყალიბებისაკენ. „ქრისტიანი ხალხის საუკუნეების მანძილზე არსებული გულგრილი დამოკიდებულება ებრაელთა მიმართ იმ საშინელ რწმენაზე დაყრდნობით აიხსნება, რომლის მიხედვითაც ღმერთმა ეს ტანჯვა იესოს უარყოფის გამო მოუვლინა მათ. თუ ეს მართლაც ღვთის სასჯელია, რატომ უნდა ჩაერიონ ქრისტიანები მათ ცხოვრებაში, ან რატომ უნდა განეწყვნონ სიმპატიით მათ მიმართ?“ (Dinnerstein, 1983: 109) ავტორების აზრით, ებრაელები ვერასოდეს მოიპოვებდნენ პატივისცემას და დაფასებას არაებრაული კულტურის მატარებელი ხალხისგან, თუკი ერთ ჯგუფად შეკრებილნი მხოლოდ საკუთარი უნიკალურობის მტკიცებასა და ტრადიციების თაყვანისცემაში განაგრძნობდნენ ცხოვრებას. „უბრალო და შიშველი ფაქტი არის, რომ იუდაიზმი შეუძლებელ ბაზისს ეყრდნობა. ის ცდილობს მოკრიფოს დემოკრატიის ხილი, დემოკრატიის პროცესში მონაწილეობის მიღების გარეშე.“ (Ross, 1980: 30) აღნიშნულის მიღწევა კი ცოდვათა მონანიების და ქრისტიანული მრწამსის მიღების გზით მიიღწეოდა. „ქრისტიანული საუკუნე“ არ საუბრობდა პროტესტანტული ამერიკის სახელით, თუმცა, ის ბევრი საშუალო კლასის პროტესტანტის აზრებსა და განწყობას ახმოვანებდა, რაც ებრაელ მოსახლეობაში შიშის გრძნობას ჰბადებდა.

დიდხანს რჩებოდა განსაკუთრებული ყურადღების მიღმა „ჰოლოკოსტის“ საკითხიც. ხშირად ინფორმაცია გაბნეული იყო სხვა ომის სიახლეებში, *The New York Times*, რომელიც იმ წლებში ყველაზე გავლენიან ამერიკულ გამოცემად ითვლებოდა, ფლობდა უდიდეს შესაძლებლობას ებრაელთა ტრაგედიის გაშუქებისთვის. თუმცა, კვლევები აჩვენებს, რომ 1939-1945 წლებში ჰოლოკოსტის შესახებ გამოქვეყნებული სტატიების უმრავლესობა განთავსებული იყო არა პირველ გვერდზე, არამედ შიდა გვერდებზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა საზოგადოების ყურადღების მიპყრობის შესაძლებლობას. მაგალითად, როდესაც 1942 წლის ბოლოს გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობები ჰიტლერის მიერ ებრაელთა განადგურების გეგმების შესახებ (დასახელებული როგორც "Final Solution"), *The New York Times*-მა ამ ინფორმაციას მხოლოდ მცირე ადგილი დაუთმო შიდა გვერდებზე და არა მთავარ გვერდზე. ცნობილია, რომ გაზეთის მაშინდელი გამომცემელი, არტურ ჰეის სოლცბერგერი (*Arthur Hays Sulzberger*), მიუხედავად იმისა, რომ თავად ებრაული წარმოშობის იყო, სკეპტიკურად უყურებდა იმაზეც კი, რომ ებრაელთა საკითხი ცალკე ეთნიკურ თემად წარმოეჩინა. ის უფრო "საერთო ადამიანური ტრაგედიის" კონტექსტში ასახავდა მოვლენებს. ზოგადად, ამერიკული მედიის უმრავლესობა ჰოლოკოსტს მხოლოდ, როგორც "ომის ნგრევისა" და "დამნაშავე რეჟიმის" ნაწილს წარმოაჩენდა და იშვიათად ამახვილებდა ყურადღებას, რომ ებრაელები სპეციალურად იყვნენ სამიზნედ არჩეულნი. მცირე რაოდენობის დამოუკიდებელ ებრაულ პრესაში (მაგალითად *The Jewish Daily Forward*, *The American Hebrew*) ხშირად მეტი სიღრმით და ემოციურად გაშუქდებოდა ეს საკითხი, თუმცა მათი აუდიტორია გაცილებით ცოტა იყო.

ჰოლოკოსტის მოვლენებთან დაკავშირებით ამერიკული პრესის დაბალი ინტერესი მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. ამერიკულ მედიას დიდი ძალა ჰქონდა სახალხო განწყობის ჩამოყალიბების საკითხზე, რასაც გერმანიაში მოღვაწე მათი კოლეგები კარგად აცნობიერებდნენ. შესაბამისად, საშინაო საქმეებში მათი ჩარევის აღეკვეთის მიზნით, ისინი ამერიკელი კორესპონდენტების ბერლინიდან გაძევებას ცდილობდნენ. გერმანიაში მყოფი ამერიკელი კორესპონდენტები ხედავდნენ, თუ როგორ ასახლებდნენ ებრაელებს მატარებლებით აღმოსავლეთში, ასევე, ისმენდნენ რომ აღმოსავლეთის ფრონტი ებრაელთა სასაკლაოდ იყო ქცეული, თუმცა ისინი ყოველთვის ვერ ახრხებდნენ გადმოეცათ ის, რასაც ხედავდნენ და ისმენდნენ, რადგან როგორც ჩანს, მათ ჰქონდათ შიში - შიში პირადი უსაფრთხოებისა. (Lipstadt, 1986: 7) ხშირ შემთხვევაში უცხოელი რეპორტიორების რედაქტორებისთვის გადაცემული ინფორმაცია არასანდოობის, თუ ძნელად დამაჯერებლობის მიზეზით, ცენზურის გარეშე რჩებოდა და არ ქვეყნდებოდა. რაულ ჰილბერგი თავის წიგნში „დამნაშავეები, დაზარალებულები, მოწმეები: ებრაული კატასტრიფა, 1933-1945“ მნიშვნელოვან მინიშნებებს აკეთებს. ის აღნიშნავს, რომ „მათ [დესტრუქციის არეალის გარეთ არსებულმა ებრაულმა ორგანიზაციებმა და მოკავშირე ქვეყნებმა] განადგურების დინამიკის [ევროპელი ებრაელების] მიმართ სისტემატიური ყურადღების მიპყრობა ვერ მოახერხეს, ამის გამო ისინი ინფორმაციის გამოსააშკარავებლად თანაბრად მომზადებელნი შეიქმნენ.“ (Hilberg, 1992: 218) ინფორმაცია, რომელიც უცხოელი კორესპონდენტების, გაქცეული ტყვეების, ან სადაზვერვო სამსახურების აგენტებისგან ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეწოდებოდა, აბსოლუტურად დაუჯერებელი და ხშირ შემთხვევაში ჭეშმარიტი ფორმისგან განსხვავებული ხასიათის და მოტივის იყო. (Farrell, 2006: 4)

ამერიკულმა პრესამ ჰოლოკოსტის მოვლენების ფართოდ გაშუქება ძალიან გვიან დაიწყო. როგორც დებორა ლიპსტადტი წიგნში - „რწმენის მიღმა: ამერიკული პრესა და ჰოლოკოსტის მოახლოება 1933-1945“ აღნიშნავს, ზოგიერთი ამერიკული გაზეთი ევროპაში მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ფაქტების შესახებ წერდა, მაგრამ ისინი ნაცისტური იდეოლოგიისა და ანტისემიტიზმის დაკავშირებას სათანადოდ ვერ ახდენდნენ. ლიპსტადტი წერს, რომ 1933-1944 წლებში ევროპაში ებრაელების მიმართ განხორციელებული დაუჯერებელი მოვლენებთან დაკავშირებით ამერიკული პრესა დაბნეულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და არ შეიძლება, რომ სრული პასუხისმგებლობა დაეკისროთ. (Lipstadt, 1986)

მიზეზი, თუ რატომ არ იბეჭდებოდა ევროპელი ებრაელების განადგურებასთან დკავშირებული საკითხები გაზეთების პირველ გვერდზე ან ჟურნალების გარეკანზე, ბევრი ისტორიკოსი ამას ანტისემიტიზმთან აკავშირებს. მაგალითად, დეივიდ ვაიმენი წიგში „ებრაელის მიტოვება“ წერს, რომ ამერიკელი ხალხის 15% მხარს დაუჭერდა ანტიებრაულ კამპანიას, ხოლო 20-25% მისი „თანამგრძნობი“ იქნებოდა. როგორც კელი ფარელი თავის ნაშრომში „ჰოლოკოსტის მოწმეები: სკეპტიციზმი ამერიკულ პრესაში, 1942-1945“ აღნიშნავს, ჟურნალისტთა გარკვეული ნაწილი, ისევე, როგორც ამერიკელთა უმრავლესობა, გულგრილი, ყველაზე უარეს შემთხვევაში კი, ანტისემიტური განწყობით იყო გამსჭვალული. (Farrell, 2006: 65)

მეორე მსოფლიო ომის დასრულებამ და აშშ-ის ეკონომიკურმა აღმავლობამ 1940-50-იან წლებში ახალი ეტაპი შექმნა ებრაული დიასპორის ისტორიაში. ომის ტრავმა და ჰოლოკოსტის შემდგომი გამოცდილება კვლავაც რჩებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, თუმცა პრესასა და საზოგადოებრივ დისკურსში ნელ-ნელა დაიწყო ახალი თემების გაჩენა: გადარჩენილთა ინტეგრაცია, მეორე თაობის ებრაელთა ასიმლაცია, ებრაული თემის ახალი პოლიტიკური ჩართულობა ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც აღნიშნავს Deborah Dash Moore (Moore, 1981), "ომის შემდეგ ებრაული იდენტობის შენარჩუნება გახდა

არა მხოლოდ ეთნიკური და რელიგიური ნიშანი, არამედ ასევე პოლიტიკური აქტის ფორმა." (Moore, 1981).

დასკვნა. ებრაული იდენტობის ტრანსფორმაციაზე პრესისა და საზოგადოებრივი დისკურსის გავლენა მეორე მსოფლიო ომის დროს გადამწყვეტი აღმოჩნდა. ომის დასრულების შემდეგ პრესა გახდა პლატფორმა, სადაც ებრაული ტრაგედია, ბრძოლა და საბოლოო გამარჯვება გადაიქცა საზოგადოების საერთო მეხსიერების ნაწილად. პრესისა და კულტურული ნარატივების როლი ებრაული იდენტობის ფორმირებაში, არა მხოლოდ ისტორიული პროცესების გამომხატველი, არამედ აქტიური მონაწილეც გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა

Diner, H. R. (2004). *The Jews of the United States*. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press.

Dinnerstein, L. (1983). Jews and the New deal. *American Jewish history*. Jstor.

Farrell, K. M. (2006). *Bystanders to the Holocaust: skepticism in the American Press, 1942-1945.* Florida: Florida State University Libraries.

Feingold, H. L. (1995). *A Time for Searching: Entering the Mainstream, 1920–1945.* Baltimore: Johns Hopkins University Press.

Hilberg, R. (1992). *Perpetrators, Victims, Bystanders: The Jewish Catastrophe, 1933–1945.* New York: Harper Perennial.

Klinger, J. (2025) America was different. America is different. American Jewish History 1924-1945. *Jewish Magazine*.

Leff, L. (2005). *Buried by The Times: The Holocaust and America's Most Important Newspaper*. Cambridge: Cambridge University Press.

Lipstadt, D. E. (1986). *Beyond Belief: The American Press and the Coming of the Holocaust, 1933–1945.* New York: Free Press.

Merrill, J. (2012). *American Jewish Identity and Newspapers: the medium that maintained an imagined community through a change in identity.* The City College of the City University of New York.

Moore, D. D. (1981). *At Home in America: Second Generation New York Jews.* New York: Columbia University Press.

Ross, R. W. (1980). *So It Was True: American Protestant Press and the Nazi Persecution of the Jews.* Oregon: Wipf& Stock publishers.

Schneiderman, H. (1932). *The German-Jewish Catastrophe and Its Repercussions*: Review of the Jewish Year 5693.

Wyman, D. S. (1984). *The Abandonment of the Jews: America and the Holocaust, 1941–1945*. New York: Pantheon Books.

REFERENCES

Diner, H. R. (2004). *The Jews of the United States*. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press.

Dinnerstein, L. (1983). Jews and the New deal. *American Jewish history*. Jstor.

Farrell, K. M. (2006). *Bystanders to the Holocaust: skepticism in the American Press, 1942-1945.* Florida: Florida State University Libraries.

Feingold, H. L. (1995). *A Time for Searching: Entering the Mainstream, 1920–1945.* Baltimore: Johns Hopkins University Press.

Hilberg, R. (1992). *Perpetrators, Victims, Bystanders: The Jewish Catastrophe, 1933–1945.* New York: Harper Perennial.

Klinger, J. (2025) America was different. America is different. American Jewish History 1924-1945. *Jewish Magazine*.

Leff, L. (2005). *Buried by The Times: The Holocaust and America's Most Important Newspaper*. Cambridge: Cambridge University Press.

Lipstadt, D. E. (1986). *Beyond Belief: The American Press and the Coming of the Holocaust, 1933–1945.* New York: Free Press.

Merrill, J. (2012). *American Jewish Identity and Newspapers: the medium that maintained an imagined community through a change in identity.* The City College of the City University of New York.

Moore, D. D. (1981). *At Home in America: Second Generation New York Jews.* New York: Columbia University Press.

Ross, R. W. (1980). *So It Was True: American Protestant Press and the Nazi Persecution of the Jews.* Oregon: Wipf& Stock publishers.

Schneiderman, H. (1932). *The German-Jewish Catastrophe and Its Repercussions*: Review of the Jewish Year 5693.

Wyman, D. S. (1984). *The Abandonment of the Jews: America and the Holocaust, 1941–1945*. New York: Pantheon Books.